№ 29 მთავრობის ორგანო ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მეორე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 2 მან. შაბათი, 7 თებერვალი 1920 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ." 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 40 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 3 მ. 50 კ. მე-4 გვერდზე 3 მ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 80 მ. 1 იანვრ. გაზ. ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქუჩა № 6. ტელეფონის 1—82.

## სახელმწიფო თეატრი

ოპერა ს. ა. ეგლახაშვილის ხელმძღვანელობით.

შაბათს თებ. 7-ს ოპერა მუშებისათვის დავიდოვას მონაწილეობით

### სევილიელი დალაქი.

კვირას, თებერვლის 8-ს დილით „ტრავიატა", საღამოს შულკინას ბენეფისი. „ქ-ნი ბატერფლაი" და დ ღი საღამო. ორშაბათს, 9-ს, და ხუთშაბათს 12 თებერვალს, საღამო ბალეტი—ლიდია ჯონსონის და კონსტანტინე ალპეროვის. სამშაბათს, დავიდოვას მონაწილეობით „ვერტერი". ოთხშაბათს, დროზდო-პოლიაევის ბენეფისი „აფრიკელი ქალი". 171

## საქ. საქრასნოკრესტო საზოგადოება

ამით აცხადებს რომ ავტომობილების საჯარო ვაჭრობა, რომელიც დანიშნული იყო შაბათს 7 თებერვალს, გადაიდო 14 თებერვლისთვის. გაყიდვის პირობები ცალკე იქნება გამოცხადებული.
163 1—1

გამგეობა

ოფიციალური განყოფილება.

## ბრძანება

### რესპუბლიკის ჯარების მიმართ.

4 თებერვალი, 1920 წ.

შევნიშნე, რომ სამინისტროს განყოფილებაში, სამხედრო ნაწილებში და სამმართველოებში საქმის წარმოება ძლიერ გვიანდება და არ სრულდება სათანადო სისწრაფით უფროსების განკარგულება. გარდა ამისა ზოგიერთი ოფიცრები და მოხელეები იგვიანებენ სამსახურზე და ხანდახან კი დანიშნულ დროზედაც ადრე სტოვებენ მას. სამხედრო უწყებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქმის თავის დროზე შესრულებას და ყოველივე ბრძანება განკარგულების ცხოვრებაში საჩქაროდ გატარებას; ძველებურ კანცელარიულ უმოქმედობას, რუტინას და „ხვალეს" ადგილი არ უნდა ჰქონდეს სამხედრო უწყებაში. საქმე მუყაითად და სვინდისიერად უნდა სრულდებოდეს თავის დროზე და არავითარი დაბრკოლება ამის შესახებ არ უნდა არსებობდეს.

ვბრძანებ: სამხედრო ნაწილების და დაწესებულებათა უფროსებმა მიაქციონ ასეთ ანორმალურ გარემოებას ყურადღება და მიიღონ ჯეროვანი ზომები მის მოსასპობად.

სამხედრო მინისტრი გრ. ლორთქიფანიძე.

## განკარგულებანი

### საგარეო საქმეთა მინისტრისა.

28 იანვარი, 1920 წ. № 1.

საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური განყოფილების უფროსი ირაკლი დიმიტრის ძე ტატიშვილი, სამსახურში გამოუცხადებლობისა გამო, დათხოვნილ იქმნეს თანამდებობიდან პირველი ნოემბრიდან 1919 წ.

28 იანვარი, 1920 წ. № 2.

დათხოვნილნია ამა თვის პირველი რიცხვიდან საგარეო საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორი მიხეილ სიმონის ძე ლორთქიფანიძე ამა თანამდებობიდან.

28 იანვარი, 1920 წ. № 3.

დაინიშნა: მთავრობის თავმჯდომარის საგანგებო მინდობილებათა მოხელე, ნიკოლოზ გიორგის ძე მაჭავარიანი, საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური განყოფილების უფროსად.

28 იანვარი, 1920 წ., № 4.

დაინიშნა: საგარეო საქმეთა სამინისტროს კანცელარიის ვიცე დირექტორი ზურაბი ანტიპოდისტეს ძე მაჩაბელი ამავე სამინისტროს კანცელარიის დირექტორად, ამა წლის პირველი იანვრიდან.

28 იანვარი, 1920 წ. № 5.

დაინიშნა: საქართველოს კონსული ბათუმში პეტრე მელქონის ძე ჩინჯიშვილი საგარეო საქმეთა სამინისტროს კანცელარიის ვიცე-დირექტორად, 23 ამა იანვრიდან.

მინისტრი: გეგეჭკორი.

### სამედიცინო-სასანიტარო განყოფილებისა.

№ 374.

განთავისუფლებულია თანამდებობის ასრულებიდან და სრულიად სამსახურიდან ბორჯომის ადიგენის სასოფლო საეკურნალოს ექიმის თანაშემწე კონსტანტინე პიშინი ამა წლის 12 ნოემბრიდან.

№ 375.

დანიშნულია ბორჩალოს მაზრის ექიმად გაიკ არკადის ძე აგარონოვი ამა წლის 19 ნოემბრიდან.

№ 376.

დანიშნულია ახალქალაქის საეპიდემიო ლაზარეთში მოწყალების და მ. ი. კუტერლო ამა წლის 19 ნოემბრიდან.

№ 377.

მინდობილების ექიმი ნ. ზ. გულისაშვილი სამსახურის გამო მიევლინება ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში 21 ამა ნოემბრიდან.

№ 381.

დაინიშნა მიგდებულ ბავშვთა თავშესაფარის საქმის მწარმოებლად ელისაბედ არჯევანიძისა ამა წლის 21 ნოემბრიდან.

№ 382.

დაინიშნა ოლღას საბებიო ინსტიტუტში ბებია ქალი გ. ჟორდანია ამა წლის 27 ნოემბრიდან.

№ 383.

დანიშნულია დროებით სანაის საექიმო მეთვალყურე პუნქტის გამგე ექიმად ლეონიდ დიმიტრის ძე ნაზაროვი ამა წლის 1 დეკემბრიდან.

№ 384.

დაინიშნოს მიხეილის საავადმყოფოს პროზექტორის მოვალეობის დროებით ასრულებლად ექიმი პეტრე ვენიამინის ძე ვიხროვი ამა წლის 28 ნოემბრიდან.

№ 385.

განთავისუფლებულია თანამდებობის ასრულებიდან და სრულიად სამსახურიდან შტატის შემოკლების გამო საბეჭდავ მანქანაზე მომუშავე ე. ი. ბახუტაშვილისა ამა წლის 1 დეკემბრიდან.

№ 386.

დანიშნულია ახალქალაქის მაზრის, სოფ. გორელოვკის ამბულატორიის გამგე ექიმად ო. გ. სპასკაია 9 ამა დეკემბრიდან.

სამედიცინო-სასანიტარო განყოფილების უფროსი ხ. ჯაფარიძე.

### ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის სამმართველოსი.

1 დეკემბერი, 1919 წ., № 69.

გამწესებულნი არიან: ყოფილი ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე კონსტანტინე დიაკონიძე ხელახლა მეხუთე ხარისხის მოხელედ ოჩემჩირეს კანტორაში და მოქალაქე სიმონ მასხარაშვილი ფოსტალიონად 480 მან. ჯამაგირით წელიწადში წნორის წყლის ფოსტის კანტორაში, ორივე პირველ დეკემბრიდან 1919 წელსა.

დანიშნული არიან: უფროსი მექანიკოსი ოლქის სამმართველოსი ვოლდემარ აკერერი უფროს მექანიკოსად იმავე სამმართველოში. მეოთხე ხარისხის მოხელე ტფილისის ტელეგრაფის კანტორისა გიორგი ანგლიკოვსკი კოჯორის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსად. ყოფილი მოხელე კონსტანტინე ხოშტარია ზედამხედველის ვალდებულების ასრულებლად დაბალი ჯამაგირით მცხეთის კანტორაში, სამივე პირველ დეკემბრიდან 1919 წელსა.

გადაყვანილი არიან: ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები ტფილისის ტელეგრაფის კანტორისა მე-5 ხარ. სამუელ გვალია, ამფილოქი კანტრიძე, სოხუმის მე VI ხარ. ვარლამ გუნია, თფილისის ფოსტის კანტორის: პირველი ხარ. კონსტანტინე ტარაშვილი, ალბერტ კიკუშელი, მესამე ხარ. დაქირავებული ივანე ლალიაშვილი, მეოთხე ხარ. ივანე გაჩეჩილაძე დაქირავებული, ელენე ხახანოვისა და ფოსტალიონები: ტფილისის ფოსტის კანტორის: რაჟდენ დევდარიანი, გიორგი გედევანიშვილი, ქიათურის სევერიან ჟუჟუნაძე და მლეთის განყოფილების დავით ფალავა იმავე წოდებით: გვალია სიღნაღში, გუნია ახალ გაგრაში, დევდარიანი ბორჯომში, კიკნაძე და ფალავა ტფილისის ფოსტაში, კიკუშელი და ლალიაშვილი ტფილისის ცენტრალურ ტელეგრაფში. ჟუჟუნაძე საჯევახოში, თარაევი და ხახანოვისა მეოთხე განყოფილებაში, გაჩეჩილაძე 1 განყოფილებაში. სულ ყველა თორმეტივე 1 დეკემბრიდან 1919 წ., ხოლო დევდარიანი თანახმად თხოვნისა და ტარაშვილი მეოთხე განყოფილების გამგეთ.

დათხოვნილნი არიან სამსახურიდან თანახმად თხოვნისა: წნორის წყალის ფოსტალიონი მიხეილ ბაგაევი, ზედამხედველი თიონეთის კანტორისა ვლადიმერ კაკული, ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები: ტფილისის ტელეფონის ქსელისა მეექვსე ხარ. ნინა ბერიძე, სოხუმის კანტორის პირველი ხარისხის ალექსანდრე სემიონოვი. კაკული 14 ნოემბრიდან, დანარჩენნი სამი პირველ დეკემბრიდან 1919 წ.

დათხოვნილია სამსახურიდან ბრძანებით 26 სექტემბრიდან 1919 წელსა, № 54, ზედამხედველი მაღალი ჯამაგირისა ტფილისის ტელეგრაფის კანტორისა ვასილ ორლოვი, ითვლება დათხოვნილად 15 აგვისტოდან და არა ათ აგვისტოდან 1919 წ.

გამორიცხულ არიან სიიდან: დროებით ასრულებელი ზედამხედველის ვალდებულებისა დაბალი ჯამაგირით აბასთუმანის კანტორაში პარმენ გაბუნია, ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე მეექვსე ხარ. ძველი სენაკის განყოფილებისა დავით თვარაძე, ფოსტალიონები: შულავერის ანდრია დევდარიანი, ოლთის კანტორის რაჟდენ პეხილაძე უკანასკნელი სიკვდილის გამო 17 სექტემბრიდან 1918 წელს—გაბუნია 18 ნოემბრიდან, თვარაძე 1 დეკემბრიდან და დევდორიანი 16 ნოემბრიდან 1919 წელსა სამხედრო სამსახურში მიღების გამო.

5 დეკემბერი, 1919 წ. № 70.

გამწესებულნი არიან: ყოფილი ფოსტალიონები გიორგი მაჩხანელი და ილია შარაშიძე ხელ ახლად ფოსტალიონებად 480 მ. ჯამაგირით წელიწადში, მაჩხანელი ტფილისის ფოსტაში და შარაშიძე ახალ გაგრის კანტორაში, ორივე 6 დეკემბრიდან 1919 წელსა.

დანიშნულია: მეოთხე ხარისხის მოხელე ცხინვალის კანტორისა ალექსანდრე ჯაბიძე, ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსად ჯავაში (გორის მაზრა).

გადაყვანილნი არიან: ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები შულავრის მეოთხე ხარ. გრიგოლ გამრეკლიძე, ეკატერინოვკის მეხუთე ხარ. გრიგოლ მშვიდობაძე და ფოსტალიონები: ბორჯომის კანტორის რაჟდენ დევდარიანი, ტფილისის ფოსტის კანტორის: სოლომონ დავითაია, ირაკლი ცომაია და ხობის—ნესტორ პეტელავა იმავე წოდებებით: გამრეკელიძე და მშვიდობაძე ტფილისის ცენტრალურ ტელეგრაფში, დავითაია—ხობში, ცომაია—ბორჯომში, დევდარიანი—ტფილისის ფოსტაში; გამრეკლიძე და მშვიდობაძე 1 დეკემბრიდან, დევდარიანი და ცომაია 10 დეკემბრიდან, დავითაია და პეტელავა 11 დეკემბრიდან 1919 წ. ხოლო გამრეკლიძე, მშვიდობაძე, დევდარიანი, დავითაია და პეტელავა თანახმად თხოვნისა.

დათხოვნილნი არიან სამსახურიდან: ზედამხედველი მაღალი ჯამაგირისა ქუთაისის კანტორისა ვარლამ აბდალაძე, ფოსტალიონები: ნავომარის—ეპიფანე სიხარულიძე, ხაშურის—ატოვმა გოგოლოვი. აბდალაძე 1 ნოემბრიდან, სიხარულიძე 6 დეკემბრიდან და გოგოლოვი 1 დეკემბრიდან 1919 წელსა. ხოლო სიხარულიძე და გოგოლოვი თანახმად თხოვნისა.

გამორიცხულნი არიან სამსახურიდან: ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე სამტრედიის კანტორისა ზაქარია კომახიძე, ფოსტალიონები მცხეთის—მამია კილაძე სამხედრო სამსახურში მიღების გამო; კომახიძე 3 დეკემბრიდან, კილაძე 4 დეკემბრიდან 1919 წელსა.

15 დეკემბერი, 1919 წ. № 71.

გამწესებულია: ყოფილი ფოსტალიონი ივანე აბულაძე ხელ-ახლად ფოსტალიონად 480 მან. ჯამაგირით წელიწადში გორის კანტორაში 1 დეკემბერიდან 1919 წელსა.

დანიშნულია: მესამე ხარისხის მოხელე ახალსენაკის კანტორისა გრიგოლ ქვარაია გუდაუთის მეოთხე კლასის კანტორის უფროსად 16 დეკემბრიდან 1919 წელსა.

გადაყვანილია: ფოსტალიონი ტფილისის ფოსტის კანტორისა არტემ აკოფაშვილი იმავე წოდებით ლაგოდეხის კანტორაში 11 დეკემბრიდან 1919 წლისა.

განთავისუფლებულნი არიან: უმცროსი მექანიკოსი ტფილისის ტელეგრაფის კანტორისა ედუარდ იაკობოვი, ტფილისის ტელეფონის ქსელის ალექსანდრე სპარაპეტოვი, ზედამხედველები მაღალი ჯამაგირისა: წნორის წყალის—იოსებ მერებაშვილი, სიღნაღის-გურჯაანის—ასლანიანცი, გორის—ივანე აფხაიაური, ახალსენაკის—სერგო პაჭავა, ოზურგეთის—გერასიმე გოგოტიშვილი, ტფილისის ტელეგრაფის—იოსებ დემუროვი, აწყურის-ვლადიმერ ზეშკუროვი; პირველი ორნი პირველი ხარისხის მოხელის ვალდებულობისაგან და დანარჩენნი მესამე ხარისხის მოხელის ვალდებულობისაგან და ამავე ხარისხების ასრულებისათვის ჯამაგირის მიცემის მოსპობით 16 დეკემბრიდან 1919 წელსა.

დათხოვნილნი არიან: ზედამხედველი მაღალი ჯამაგირისა დროებით ამასრულებელი მესამე ხარისხის მოხელის ვალდებულებისა ოგანეს დემუროვი, ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე სამტრედიის მე-5 ხარ. ვერა ტყემალაძისა და ფოსტალიონი თელავის კანტორისა პლატონ ბაქრაძე. ტყემალაძე 16 დეკემბრიდან, ბაქრაძე 10 დეკემბრიდან, დემუროვი 1 დეკემბრიდან 1919 წელსა, ხოლო ბაქრაძე და დემუროვი თანახმად თხოვნისა.

გამორიცხულნი არიან სამსახურიდან: მეოთხე ხარისხის მოხელე ოზურგეთის კანტორისა დავით მალაყლარია, ფოსტალიონები: სურამის—დავით სიხარულიძე, ცაგერის—ალფეზ კოპალიანი. მალაყლარია სიკვდილის გამო დეკემბრიდან 1919 წელსა, სიხარულიძე 17 ნოემბრიდან, კოპალიანი 21 ნოემბრიდან 1919 წელსა, სამხედრო სამსახურში მიღების გამო.

ოლქის უფროსი მგელაძე.

არა ოფიციალური განყოფილება

## მთავრობაში

### 27 იანვრის სხდომა.

დაესწრენ მთავრობის თავმჯდომარე—ნოე ჟორდანია; მინისტრები—ბ-ნნი ხომერიკი, გეგეჭკორი, ლორთქიფანიძე, კანდელაკი, ერაძე, არსენიძე, სახელმწიფო კონტროლიორი—ბ-ნი გოგიჩაიშვილი; მინისტრის ამხანაგები—ბ ნნი ჭეჭინაძე, ცინცაძე, გედევანიშვილი, ავალიანი, ჭ ვჭანიძე, ქარცივაძე; დეპარტამენტის დირექტორი—ბ-ნი ჭეჭინაძე; მდივანი—დ. ლომთაძე.

უწყებათა მიერ შტატების წარმოდგენის დაჩქარება.

დაევალოს ყველა სამინისტროებს 2 კვირის განმავლობაში წარმოადგინონ თავისი უწყებათა შტატები.

შტატების წინასწარი განხილვა, მთავრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისთვის მოსახსენებლათ, დაევალოს კომისიას ფინანსთა მინისტრის (თავმჯდომარე), სახელმწიფო კონტროლიორის და უწყებათა წარმომადგენლების შემადგენლობით.

**საბიუჯეტო წლის დამლევამდე საჭირო კრედიტების გამოთხოვა.**

დაევალოს ყველა უწყებებს 2 კვირის განმავლობაში მთლიანათ გამოითხოვონ ყველა, საბიუჯეტო წლის ბოლომდე საჭირო ხარჯებისთვის კრედიტები, გარდა მოულოდნელ ხარჯებისა.

**სასჯელთა წესდება.**

დროებითი კანონ-პროექტი სასჯელთა წესდების და სასჯელთა დებულების ჯარიმის გადიდებისა მიღებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

**მომრიგებელ მოსამართლეთა ქვემდებარობის გაფართოება.**

კანონ-პროექტი მომრიგებელ მოსამართლეთა ქვემდებარობის გაფართოებისა მიღებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

**სააპელაციო ვადის შემცირების კანონპროექტი.**

სააპელაციო ვადა განისაზღვროს 10-ით და საკასაციო—20 დღით. ამ შესწორებით წარმოდგენილი კანონ-პროექტი გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

**სასჯელის შემცირება.**

ივანე აბრამის ძე ჩიტაშვილს ტფილისის ოლქის სასამართლოს 1919 წლ. სექტემბრის 3-ის განაჩენით გადაწყვეტილი სასჯელი შეეცვალოს 4 თვით ციხეში დატუსაღებით, უფლებების აუხდელათ.

**სენატის ბრალმდებლის ამხანაგის თანამდებობიდან განთავისუფლება.**

სენატის ბრალმდებლის ამხანაგი ა. გ. ზილოვანი განთავისუფლებულ იქნას აღნიშნულ თანამდებობიდან მისი ტფილისის სასამართლო პალატის თავმჯდომარეთ დანიშვნის გამო.

**დახმარება ეპიდემიასთან ბრძოლაში დაღუპულს.**

ეპიდემიასთან ბრძოლის დროს დაღუპულ ფერშალ ექვთიმე თურქესტანოვის ოჯახისთვის ერთდროულ დახმარების აღმოსაჩენათ გადაიდოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში 10,000 მ. ათ მილიონიან ფონდიდან.

**ალექსანდრეს სახელობის ბავშვთა თავშესაფარის შესაკეთებლათ.**

გადაიდოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში 25,387 მან. და 60 კ. ნაღვრისაგან დაზარალებულ ალექსანდრეს სახელობის ბავშვთა თავშესაფარის შენობის შესაკეთებლათ.

**ღერბის გამოცვლა ტფილისის რაბინის ბეჭედზე.**

ნება მიეცეს ტფილისის რაბინს თავის ბეჭედზე რუსეთის ღერბი შესცვალოს საქართველოს რესპუბლიკის ღერბით.

**ქონების გადაცემა.**

ტფილისის ქალაქის თვითმართველობის სასარგებლოთ გადაეცეს შრომის მოყვარეობის სახლზე მზრუნველ გაუქმებულ საზოგადოების ყოფილი უძრავ მოძრავი ქონება.

**შუამდგომლობის დაკმაყოფილება.**

დაკმაყოფილებულ იქნას ს. რუისის ქალთა საზოგადოების შუამდგომლობა სათავადაზნაურო სადგილ-მამულო კომისიისგან სესხათ აღებულ 500 მან. პატიების შესახებ.

**შრომის სამინისტროს შტატების პროექტი.**

წარმოდგენილი პროექტი შრომის სამინისტროს შტატებისა და ხარჯთ აღრიცხვისა მიღებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას ერთი შესწორებით: შტატში ბუღალტერის მაგიერ შეტანილ იქნას მოანგარიშის თანამდებობა.

**საზამთრო ტანისამოსი სამხედრო მფრინავთათვის.**

გადაიდოს სამხედრო სამინისტროს განკარგულებაში 150 000 მანეთი სამხედრო ფონდიდან საავიაციო გუნდის მფრინავებისთვის და მფრინავ მექანიკოსებისთვის საზამთრო ტანისამოსის შესაძენათ.

**დახმარება მოკლულ ოფიცრის ოჯახს.**

გადაიდოს სამხედრო მინისტრის განკარგულებაში 15,000 მან. სამხედრო უწყების მოსამსახურეთათვის დახმარების აღმოსაჩენათ არსებულ კრედიტიდან მოკლულ უფროს ლეიტენანტ მდივანის ოჯახისთვის ერთდროულ დახმარების აღმოსაჩენათ.

**სადისციპლინო წესდების პროექტი.**

პროექტი სადისციპლინო წესდებისა შეტანილ შესწორებით მიღებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

**სამხედრო სკოლის კურს დამთავრებულთა ოფიცრის ხარისხზე აყვანის დროებითი დებულება.**

სამხედრო მინისტრის მიერ წარმოდგენილი „დროებითი დებულება სამხედრო სკოლის კურს დამთავრებულ ჯარისკაცთა—ოფიცრის ხარისხზე აყვანის შესახებ“ დამტკიცებულ იქნას.

**განსაკუთრებული ტარიფის მოსპობა ჭიათურის შტოზე.**

გზათა უწყების მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი სახაზინო რკინის გზების ჭიათურის შტოზე განსაკუთრებულ ტარიფის მოსპობისა, გარდა შავი ქვისა, მოსპობილ იქმნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

## შინაგან საქმეთა სამინისტროში.

**ცნობილ ყაჩაღის მელაძის დაჭერა.**

დუშეთიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს აუწყებენ:

2 თებერვალს ღამე მცხეთის ახლო 6 ვერსზე მივარდნილ ადგილას მთაში დუშეთის სახალხო გვარდიის შტაბის თავმჯდომარის ტატე შუშიაშვილის მეთაურობით გვარდიელები მიადგნენ ყაჩაღების ბუნაგს. ყაჩაღები გაიქცნენ, დევნის შემდეგ დაეწივნენ ლამის ყანაში და დაიჭირეს. აღმოჩნდნენ დუშეთის მაზრაში ყაჩაღთა ბანდების ორგანიზატორი და მატარებლებზე თავდასხმის მომწყობი პოლკოვნიკის ფორმაში გამოწყობილი კოლა მელაძე და მისი მარჯვენა ხელი ვასო სოლაშვილი.

ერობის თავმჯდომარე ჭონიშვილი.

## ჩიჩერინის ნოტა

**გარეშ. საქ. მინისტრს ე. პ. გეგეჭკორს.**

საბჭოთა რუსეთი დიდი განცვიფრებით გაეცნო იმ არგუმენტებს, რომლითაც გეგეჭკორის მთავრობა ამართლებს რუსეთისა და საქართველოს მშრომელ მასის დაუზოგავ მტრის მეფის გენ. დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობის მიღების უარყოფას. ცხადია, გეგეჭკორის მთავრობამ, ძალიან კარგად იცის, რომ დენიკინისა და საერთოდ მოხალისეთა ჯარის მიზნათ აქვს დასახული ძველი განუყოფელი რუსეთის აღდგენა, რომელიც ანადგურებდა ყველა მის მფარველობის მყოფ ერებს და მათ შორის ქართველი ერსაც. განა საბჭოთა რუსეთს შეუძლია გულწრფელად ჩათვალოს ის საწინააღმდეგო პასუხი, რომლითაც ვითომდა ბრძოლა დენიკინისა—და საბჭოთა რუსეთის შორის, რომელთაგან პირველი ებრძვის ძველი რუსეთის აღდგენას მეორე კი ემსახურება ყოველი ერის მშრომელ მასის ნაციონალური თვით გამორკვევის პრინციპს უცხო და არა საინტერესო საქმე იყოს საქართველოს მასისთვის? გეგეჭკორის მთავრობის მიერ წარმოდგენილი ამ ბრძოლის მიმართ ხელის დაბანის პრინციპი, არ იყო მის მიერ მიღებული იმ დროს, როდესაც საბჭოთა ჯარების ზოგი ნაწილი, რომელსაც მოხალისეთა ჯარის ძლიერმა ძალამ ჩრდილოეთ კავკასიიდან უკან დაახევია და რომლებიც შველას ეძებდენ საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც ისინი შეიპყრო გეგეჭკორის მთავრობის აგენტებმა და სამარცხვინოთ ჩაუგდეს ხელში დენიკინის ჯალათებს.

ჟორდანიას და გეგეჭკორის მთავრობა მთელი თავის ძალ-ღონით მხარს უჭერდა გერმანიის იმპერიალიზმს, სწორედ იმ დროს, როცა ეს უკანასკნელი იმუქრებოდა რუსეთში ძველი წყობილების აღდგენით და იმავე დროს მეგობრულ განწყობილებას იცავდა ოსმალეთის აგრესიულ იმპერიალიზმთან და ოფიციალურადაც კი მიულოცა ოსმალეთის წარმომადგენელს შარშან ბაქოში მომხდარ უცნაურ კატასტროფის შემდეგ; წელს გახდა ინგლისის იმპერიალიზმის ბაზა მათი აგენტების: დენიკინის, კოლჩაკის და იუდენიჩის საშუალებით, რომლებიც ცდილობენ სისხლში ჩაახრჩონ რუსეთის რევოლუცია, ამ დროს ჟორდანიასა და გეგეჭკორის მთავრობა თანდათან ატარებდა არა ხელის დაბანის პოლიტიკას, არამედ პოლიტიკას კონტრ-რევოლუციონურ ძალებთან კავშირისას, რომლებიც ემუქრებოდენ მუშათა და გლეხთა წყობილების რუსეთის არსებობასაც კი.

თვით იმ მომენტში, როცა საბჭოთა მთავრობისადმი მიმართულ რადიო-ტელეგრამაში, გეგეჭკორის მთავრობა იღებს პოზას უბრალო მაყურებლისას ძველ დესპოტიურ რუსეთის აღდგენის მოტრფიალე ნაშთის წინააღმდეგ ბრძოლის დროს და ამავე დროს კი, იგივე მთავრობა ჰმართავს მოლაპარაკებას ჩერჩილსა და ფოშთან, რათა მათ გამოიყენონ საქართველო, როგორც ბაზისი რუსეთის მუშა-გლეხობაზე თავდასასხმელათ.

თუ გეგეჭკორის მთავრობა იმავე დროს გამოსთქვამს იმედს, რომ იგი ბოლოს და ბოლოს შესძლებს დაამყაროს კეთილმეზობლური განწყობილებანი საბჭოთა რესპუბლიკასთან, მაგრამ ნამდვილად კი, ის იქცევა სხვანაირად ჰმართავს რა მოლაპარაკებას მათთან, ვისაც ჯერ კიდევ არ დაუყრია იარაღი რუსეთის წინააღმდეგ.

საბჭოთა მთავრობას მიზნად აქვს დასახული ძველი მეზობლური ურთიერთობის დამყარება ყველა ერებთან და ბრძოლას, რომელსაც იგი აწარმოებს, წმინდა თავდაცვითი ხასიათი აქვს. მაგრამ იგი იმას კი არ ესწრაფის, რომ მიიღოს სიტყვიერი დაპირებანი დაშორებულნი ფაქტებისგან, არამედ, რათა მოაწყოს კეთილმეზობლური მშვიდობიანი დამოკიდებულება, თუ გეგეჭკორის მთავრობა ნამდვილად იზიარებს ამ მიზნებს, მაშინ მან ეს უნდა საქმით დაამტკიცოს შესწყვიტოს რა აღმოჩენა დახმარებისა საბჭოთა რუსეთის მტრებისადმი, სთქვას უარი ანტანტის ძალთა მოწვევაზე საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, არ დაუშვას საქართველოს ტერიტორიაზე ინგლისის ჯარების გადმოსხმა და მიიღოს დაუყონებლივ მონაწილეობა ბრძოლაში რუსეთის და საქართველოს მშრომელთა საერთო მტრის წინააღმდეგ“.

**საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო განყოფილებისაგან.**

გარეშე საქმეთა სამინისტროს ზემოთ მოყვანილ ნოტასთან ერთად განზრახული ჰქონდა გამოექვეყნებინა საქართველოს მთავრობის პასუხიც, მაგრამ, სამწუხაროდ, საბჭოს დეპეშათა სააგენტომ გამოაქვეყნა ეს ნოტა შემოკლებული ტექსტით ჩვენს დაუკითხავად, ამ დღეებში გამოქვეყნებული იქნება მთავრობის პასუხიც.

## მოხალისეთა ჯარში

პეტროვსკიდან ახლად ჩამოსული შემდეგს უამბობს „ბორბის“ თანამშრომელს: 15 თებერვალს პეტროვსკში გამოცხადდა საალყო წესები. გამოცხადებულია მამაკაცთა მობილიზაცია 43 წლამდე. შესდგა დრუჟინა ქალაქის დაცვისათვის. დრუჟინაში სამსახურიდან არავინ არ თავისუფლდება გარდა სპარსეთისა და გერმანიის ქვეშევრდომებისა. პოლონელები განთავისუფლდენ პოლონეთის მთავრობის განკარგულების მიხედვით, რომელიც უკრძალავს რუსეთის სამოქალაქო ომში ჩარევას. კისლავოდსკიდან, კავკავიდან, მინერალურ წყლიდან და სხვ. ქალაქებიდან მცხოვრებნი სამხედრო გზით საქართველოში მიდიან. კავკავიდან საქართველოს საზღვრებამდე ავტომობილით წასვლა ღირს 3—4 ათას მან. მცხოვრებნი აგრეთვე მიდიან ბაქოში და ენზელში. ნოვოროსიისკში 150 ათასი ლტოლვილი ქუჩაშია. პეტროვსკში სანოვაგე აღარ არის. დონის ფულის კურსი თანდათან ეცემა. დერბენტი მოხალისეებმა დასტოვეს. დენიკინის ლაშქარი სრულიად დაინგრა. ოფიცრები ლოთობენ, რის გამო აკრძალულია მაგარი სასმელების გაყიდვა. ოფიცრობა ბოლშევიკურათაა განწყობილი. ლაშქარი გენ. რუზსკის მეთაურობით წინააღმდეგია, როგორც დენიკინის, აგრეთვე ბოლშევიკების და სურს იმოქმედოს დამოუკიდებლათ. ამ მიზნით ისინი აწყობენ ახალ პოლკებს.

## მდგომარეობა შავი-ზღვის გუბერნიაში

„ერთობას“ გაგრიდან საკუთარი კორესპონდენტი შემდეგ ცნობებს აწვდის შავი-ზღვის გუბერნიის ეხლანდელ მდგომარეობის შესახებ.

31 იანვარს აჯანყებულნი შეაჩერა მტრის ძლიერმა საარტილერიო ცეცხლმა და სომხების რაზმებმა. მიუხედავათ ამისა, აჯანყებულებმა საღამოს, თუმცა მსხვერპლით, მაგრამ მაცესტა მაინც დაიკავეს.

მეორე დილით ადრე ქვედა ხაზიდან—ქვედა რაზდოლნოეში წინ გაიწიეს.

მოხალისენი სასტიკ წინააღმდეგობას უწევდენ და აჯანყებულნი მთელი დღე შეჩერდენ. სოჭის ბედი გადასწყვიტა და გომისის მხარედან მოწოლილმა აჯანყებულებმა, რომლებიც თვით ქალაქს მოუახლოვდენ პირველ თებერვალს მოხალისენი შეუდგენ სოჭში თავდაცვის ლიკვიდაციას და მთელი ძალებით დაეჯახენ ტუაპსის მიმართულების გზის გასარღვევათ. ამ დღეს ეს ვერ შესძლეს, ხოლო სოჭიდან გავიდენ 3 ვერსზე და ბრძოლით იკაფავდენ გზას. აჯანყებულთა რაზმები გუშინ დილის 6 საათზე შევიდენ ქალაქში, რომელთაც მოემხრენ იქვე ტუაპსიდან მოსული ყაზახთა ასეული და შემახის 1 პოლკის ერთი როტა და ორკესტრი. ორი საათის შემდეგ კვლავ დაედევნენ აჯანყებულნი მოხალისეებს და გუშინ მიაღწიეს თითქმის ლოოს, ხოლო დღეს მზვერავი რაზმები შევიდენ ლაზარევკაში. მოხალისეებმა თითქმის ყველაფერი დასტოვეს. სხვათა შორის, საბარგო და სამგზავრო ავტომობილები. ქალაქში თუმცა იყო ზოგი უწესრიგობა, მაგრამ ეხლა ეწყობა.

ადლერისა და ხოსტის რაიონებში სრული წესრიგია. აჯანყებულნი ძლიერ მოიქნიეს მტრის დევნაში და ამ ჟამათ კომიტეტის ძალას უმთავრესად მოხალისეთა მხრიდან გადმოსული ჯარები შეადგენენ.

დღეს დილის 8 სათზე სოჭას მიადგა ნოვოროსიიდან ინგლისის ნაღმოსანი № 78, საიდანაც გამოვიდა ინგლისელი მაიორი და მოელაპარაკა კომიტეტს. ლაპარაკი მეტად საინტერესო იყო. კომიტეტიდან ელაპარაკენ ხომარინი და ვორონოვიჩი.

ინგლისელებს დიდის პატივით შეხვდენ კომიტეტში. გაიმართა შემდეგი საუბარი:

**კითხვა:** დიდი ხანია რაც რუსები სოჭიდან გავიდენ?

**პასუხი:** რუსები სოჭიდან არ გასულან, გავიდენ მხოლოდ მოხალისენი, რომელნიც რუს გლეხებმა გარეკეს.

**კითხვა:** რატომ გარეკეს ისინი მცხოვრებლებმა?

**პასუხი:** ძალადობისა და რეპრესიებისათვის, რომელიც ხდებოდა დენიკინის მთავრობის ბრძანებით.

**კითხვა:** შეგიძლიანთ თქვენ მომითხროთ უკანასკნელი დღის ამბები?

**პასუხი:** როცა ალბინის და კრასნოპოლიანის რაიონში და ნეიტრალურ ზონაში აჯანყებულებმა მოაწყვეს ორგანიზაცია, გაიმართა თათბირი, სადაც მოწყობილ იქნა მეყობრი შეიარაღებული გამოსვლა. 28 იანვარს დილით ადრე აჯანყებულები ჩამოეშვენ მთებიდან და ნეიტრალურ ზონისა და აბაშტირის მხრივ შეუტიეს მოხალისეთ. ხუთი დღის ბრძოლის შემდეგ ჩვენ გავწმინდეთ მთელი რაიონი.

**კითხვა:** რა მონაწილეობას ღებულობდენ ბრძოლაში ქართველები?

**პასუხი:** არც კერძოდ ქართველები, არც ჯარი და არც გვარდია არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდენ ბრძოლაში.

**კითხვა:** ჩვენ ვიცით, რომ თქვენს ჯარში ქართველებიც იმყოფებიან.

**პასუხი:** ჩვენ გვყავს ორი რაზმი ადგილობრივ სოჭაში მცხოვრებ ქართველებისაგან შემდგარი.

**კითხვა:** არის თუ არა თქვენთან ქართველი ოფიცრები?

**პასუხი:** არის, მაგრამ ადგილობრივი და საქართველოს სამსახურში არ იმყოფებიან.

**კითხვა:** როგორია თქვენი პოლიტიკური პროგრამა და როგორ უყურებთ შავი ზღვის მიდამოების რუსეთთან შეერთებას?

**პასუხი:** ჩვენ მზათ ვართ შევუერთდეთ რუსეთს, მაგრამ არა დენიკინისა და ლენინისა. აქ აუხსნეს თავიანთი პროგრამა.

**კითხვა:** როგორ უყურებთ თქვენ საქართველოს რუსეთიდან ჩამოშორებას?

**პასუხი.** ჩვენ სხვის საქმეში არ ვერევით, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ შექმნილ პირობებს ანგარიშს გავუწევთ, საქართველო სწორ გზას დაადგა.

**კითხვა:** არა სცნობთ თქვენ, რომ გაგრა უნდა იყოს თქვენს ტერიტორიაზე იმისდა მიხედვით, რომ იქ დაბანდებულია რუსეთის კაპიტალი?

**პასუხი:** დენიკინი ასე მსჯელობდა. ჩვენ კი სხვანაირათ უყურებთ—არა იმისდამიხედვით, თუ ვისი ფულია დახარჯული, არამედ—როგორია მცხოვრებლები. გაგრის რაიონში სცხოვრობენ აფხაზები, ქართველები, ცოტა რუსები. საზღვრათ კი ჩვენ ვთვლით მდინარე მეხადირს.

**კითხვა:** სად იყრიდენ თავს თქვენი ჯარები?

**პასუხი:** ნეიტრალური ზონის მთებში.

**კითხვა:** საიდან იშოვეთ თქვენ იარაღი და პატრონები?

**პასუხი:** ჩვენ დავიწყეთ ბრძოლა 250 ვინტოვკით და ცოტა პატრონებით, რომლებიც გლეხებს აღმოაჩნდათ. ეხლა ჩვენ გვაქვს 1000 ვინტოვკა, 600 ათასი პატრონი, 16 ტყვიის მფრქვეველი, 3 ზარბაზანი, 8 ავტომობილი და ორი მატორიანი ნავი.

**კითხვა:** შეგიძლიანთ თუ არა თქვენ შექმნათ ძალა და ოლქში მშვიდობიანობა დაამყაროთ?

**პასუხი:** ვეყრდნობით რა მცხოვრებთა ერთსულოვნებაზე, ჩვენ ამას შევძლებთ.

**კითხვა:** ჩვენ მზათა ვართ ვიცნოთ თქვენ მიერ შექმნილი გადატრიალება და თქვენს საქმეებში არ ჩავერიოთ, თუ თქვენ მოგვცემთ გარანტიას, რომ დაცული იქნება ტყვე, უცხო ელემენტების სიცოცხლე და ქონება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ იძულებული ვიქნებით იარაღით ჩავერიოთ საქმეში.

**პასუხი:** ჩვენ ამის გარანტიას ვიძლევით, მაგრამ უნდა მოგითხროთ, რომ, თუ დენიკინი შეეცდება კვლავ შემოვიდეს სოჭის ოლქში, მაშინ ამ გარანტიასაც ფასი არ ექნება.

**კითხვა:** ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ დენიკინი შეეცადოს სოჭში შემოვიდეს, მაგრამ დაჟინებით მოვითხოვთ, რომ დაცულ იქმნეს ტყვე ოფიცრებისა და უცხო ელემენტების სიცოცხლე და ქონება.

**პასუხი:** ჩვენ შევეცდებით ეს შევასრულოთ.

**კითხვა:** როგორი დამოკიდებულება გაქვთ თქვენ საქართველოსთან?

**პასუხი:** დღეს დილით ადრე ჩვენ გავგზავნეთ ჩვენი წარმომადგენელი, რომ აცნობოს საქართველოს მთავრობას მომხდარი გადატრიალების შესახებ და იმ მიზნით, რომ მეგობრული დამოკიდებულება დაიჭიროს მასთან.

**კითხვა:** როგორი დამოკიდებულება გაქვთ ყუბანთან?

**პასუხი:** ჩვენ მოლაპარაკებას ვაწარმოებთ მაკარენკოს ჯგუფთან, რომ კავშირი შევქმნათ მასთან.

ამ მოლაპარაკების შემდეგ ნალმოსანი სასწრაფოდ წავიდა ტუაპსეში.

სოჭის ოლქში სურსათის საშინელი სიძვირეა. თითქმის სამჯერ მეტი ფასობს, ვინემ გაგრაში. მაგალითად, მჭადი 15—20 მანეთი ღირს გირვანქა. შესაძლებელია გლეხებმა შემოიტანონ სურსათი, მაგრამ მოხალისეებს ყველაფერი წაურთმევიათ.

დენიკინის მხრივ მოკლულია 80 მდე, დაჭრილები წაიყვანეს. აჯანყებულებს მოუკლეს 6, დაუჭრეს 20. აჯანყებულებმა ხელთ იგდეს 1500 ვინტოვკა, 500000 პატრონი, „გრუზოვიკები“, ჯარის ტანისამოსი, ორი საშუალო შატორიანი გემი, ერთი ბატარეი და 1000 ყუმბარა. გარდა ამისა, აჯანყებულთ დარჩათ 30 მილიონათ ღირებული მოხალისეთა მიერ შექმნილი თამბაქო.

# დეპეშები.

(საქართვ. დეპეშათა სააგენტო).

**მოსკოვი** ბოლშევიკური ცნობა. ოდესის რაიონში ბრძოლა გრძელდება, ოლვიოპოლის სამხრეთ დასავლეთით 40 ვერსზე ჩვენი ჯარი მდ. სტოლპოვკაზე გამოვიდა. ვოზნესენსკის რაიონში სად. ბერეზოვკას აღების შემდეგ ჩვენი ჯარი „ბოლშოი ბუიალიკაზე“ შეტევას აწარმოებს. ნიკოლაევის რაიონში ჩვენ ტილიგულის ლიმანის აღმოსავლეთის ნაპირზე სოფლები დავიჭირეთ აქ აღმოვაჩინეთ სიმფეროპოლის მე 75 პოლკი, ოჩაკოვის დასავლეთით 20 ვერსზე აჯიატინსკს მივაღწიეთ. დამატებითი ცნობებით ნიკოლაევში ხელში ჩავიგდეთ 2 ზარბაზანი, 20 ავტომობილი, წყალქვეშა ნავი, 2 საავადმყოფო, 2 გემი. მრავალი სანავსადგურო ქონება, არსენალი, საარტილერიო საწყობები და სხვა სამხედრო ქონება. ნოვოჩერკასკის რაიონში მკაცრი ბრძოლა სწარმოებს. ველიკოკნიაჟის მიმართულებით მდ. იულეზე ჩვენ 500 ტყვე წამოვიყვანეთ, ხელში ჩავიგდეთ კავკასიის დივიზიის შტაბი და 27 ტყვიის მფრქვეველი, ნიჟნეუდინსკის აღმოსავლეთით 95 ვერსზე ჩვენმა ჯარმა ტულუნსკია აიღო.

### ფრანგული პრესა.

კლემანსო მარსელიდან ეგვიპტეში გაემგზავრა.

ელჩების კონფერენციამ გადასწყვიტა ახალი ზომების მიღება, რათა ჰოლანდიამ გასცეს ექსკაიზერი.

ვაშინგტონიდან იუწყებიან, რომ უკვე რამდენიმე დღეა რაც პრეზიდენტი ვილსონი გაცივდა. ყოველგვარი ზომებია მიღებული, რომ მას ჯანმრთელობა შეუნარჩუნონ. იგი თანდათან უკეთ ხდება და ერთი ოთახიდან მეორე ოთახში დაუხმარებლად შეუძლია გასვლა.

ჰააგიდან იუწყებიან, მეორე პალატის კომისიის დამოკიდებულება, რომელიც იხილავს კანონპროექტს ნიდერლანდების ხალხთა ლიგასთან შეერთების შესახებ, გამოირკვევა. მრავალი დელეგატი ფიქრობს, რომ შეერთება დიდ ოპოზიციას არ შეხვდება.

ბრიუსელში პარლამენტის კავშირის ბელგიის ჯგუფმა განიხილა წინადადება გერმანიის პარლამენტის წარმომადგენლების კავშირიდან გამორიცხვის შესახებ. ყრილობამ ეს წინადადება მიიღო რა პრინციპიალურათ განაცხადა, რომ იგი ამ ჟამად ცენტრალური ქვეყნების პარლამენტებთან კავშირის დაჭერის წინააღმდეგია.

**იანვრის 4.** ნარვის რაიონში ჩვენ 50 გამოქცეული ჯარისკაცი მივიღეთ. პიტალოვის მიმართულებით ბრძოლა გრძელდება. ვოზნესენსკის რაიონში ჩვენი ჯარი იუზდეპოლ ბოგოპოლ პეშჩანის ბრძოლის ხაზზე გამოვიდა. კონსტანტინოვკის სამხრეთ დასავლეთით 15 ვერსზე მტერი ოლგოპოლთან წინააღმდეგობის გაწევას შეეცადა, მაგრამ უკუ ვაგდეთ. ვოზნესენსკის სამხრეთ-დასავლეთით 40 ვერსზე ჩვენ ვორმსი ავიღეთ, წამოვიყვანეთ 150 ტყვე. ჩვენმა ცხენოსნებმა სადგური მობერეზოვკა აიღეს. დაახლოვებითი ანგარიშით ვოზნესენსკის რაიონში ჩვენ 1000 მეტი ტყვე წამოვიყვანეთ. ნიკოლაევის რაიონში ჩვენმა ჯარმა შეტევით სოფ. ნეჩაიანნოე და ქალ. ოჩაკოვი აიღო. ამ ქალაქში მრავალი დავლა ჩაიგდო ხელში. ჩვენ ხერსონი ავიღეთ, ხელში ჩავიგდეთ ქონება. ნოვოჩერკასკის რაიონში მანიჩის ხელში ჩასაგდებათ ბრძოლა გრძელდება. ველიკოკნიაჟის რაიონში ჩვენ მანიჩისაკენ დავიხიეთ. ენოტაევის რაიონში ჩვენ მტრის რაზმი დავამარცხეთ. წამოვიყვანეთ 75 ტყვე. ხელში ჩავიგდეთ 2 ტყვიის მფრქვეველი. ნიჟნეუდინსკის აღმოსავლეთით 40 ვერსზე ჩვენმა ჯარმა ხოდნილანსკოე აიღო.

**მოსკოვი,** 5. თებ. 1920 წლის 2 თებერვალს ქ. იურიევში დადებული საზავო ხელშეკრულება რუსეთსა და ესტონეთის შორის, რომელსაც ხელი მოაწერეს საბჭოთა რუსეთის რწმუნებულებმა იოფფემ და გუკოვსკიმ დაამტკიცა სამ. ც. ა. კომიტეტის საბჭოთა მე-7 ყრილობამ და საგარეო საქმეთა კომისარს დაავალა ესტონეთის მთავრობას აუწყოს ამ რატიფიკაციის შესახებ.

ესტონეთთან დადებული ხელშეკრულება 20 მუხლისაგან შესდგება. ხელშეკრულების თანახმად რუსეთი აღიარებს ესტონეთის დამოუკიდებლობას. სახელმწიფო საზღვარი რუსეთსა და ესტონეთის შორის გაივლის ნაროვის ყურიდან სოფ. რაპშაში რიპაკოვის სახლის სამხრეთით ერთ ვერსზე. შემდეგ მდ. მერტვინსკაია და როსონზე სოფ. ილკონომდე. სოფ. ილკონიდან ერთ ვერსზე სოფ. კეიკონოს დასავლეთით, სოფ. იზვაზის დასავლეთით ნახევარ ვერსზე სოფ. კობილიაკამლე და მდ. შჩუჩკის შესართავამდე. აქედან სოფ. კრივაია ლუკა, პოლუშზა, პეჩუჩკამდე (შემდეგ გამოტოვებულია) კუნძულ ნარკა (პირისარი) აღმოსავლეთით ერთ ვერსზე შემდეგ სრუტეების შუაში სადლოსამდე. სოფ. პოდბორის დასავლეთით, პსკოვის ტბის სამხრეთ ნაპირზე, სოფ. გრადიშჩეში რკინის გზის ქოხი, სოფ. შეხინცის დასავლეთით, სოფ. ბაბინოსა და ვიშორსკის შუა ტყის დამცველის სახლის სამხრეთით ერთ ვერს ნახევარზე, გლიბოჩის ჩრდილოეთით სოფ. ტრეხტიჩ.

### ფრანგული ცნობები.

სამშაბათს საღამოს ფონ-ლერსნერმა ჩაიბარა სია ომის კანონების დარღვევაში დამნაშავე პირთა, რომელთაც მოკავშირენი მოითხოვენ გერმანიისთან სამართალში მისაცემათ საზავო ხელშეკრულობის 228 მუხ. თანახმად. ოთხშაბათ დილით ფონ-ლერსნერმა დოკუმენტი თავისი ბარათით უკან დაუბრუნა კონფერენციას თავმჯდომარეს მილერანს. ბარათში იგი მოკავშირეთა წარმომადგენლების ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ გერმანიისათვის ამის შესრულება შეუძლია და ამასთანავე დასძენს: რადგანაც მე პირადათ არ მინდა ამას დავეთანხმო, ამიტომ განცხადება მივეცი გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარეს ჩემი თანამდებობისაგან განთავისუფლების შესახებ. ელჩების კონფერენციამ მილერანის თავმჯდომარეობით ითათბირა პასუხის ფორმის შესახებ. საბუთს გერმანიის მთავრობას გადასცემენ, ალბად, გერმანიის რწმუნებულის საშუალებით. ბერლინის მთავრობამ მიიღო ფონ-ლერსნერის გადადგომა, რომელსაც მისცა ინსტრუქცია ბერლინში ჩამოიტანოს დამნაშავეთა სია.

საფრანგეთის პალატა სამშაბათს თავის კომისიების დანიშვნას შეუდგა. როგორც კი კომისიები დანიშნა რვა მათგანი შეიკრიბა, რათა თავისი ბიუროები მოეწყოთ. ფინანსიურ კომისიაში თავმჯდომარეთ ერთხულოვნად ამოირჩიეს პერე. რაულ პერეს განცხადებით, ახალმა პალატამ მტკიცედ გადასწყვიტა ბიუჯეტის წონასწორობის აღდგენა; მეორეს მხრივ საფინანსო კომისია ფხიზლად თვალყურს ადევნებს საზავო ხელშეკრულობის პირობათა აღსრულებას და განსაკუთრებით იმ მუხლების აღსრულებას, რომლებიც ზარალის ანაზღაურებას და დანგრეულის აღდგენას შეეხება. მას უფლება აქვს ამ პირობათა ასრულება შეუბრალებელი სიმკაცრით მოითხოვს. გარეშე საქმეთა კომისიამ თავმჯდომარეთ ერთხმად ამოირჩია ბარტუ. მანაც წარმოსთქვა სიტყვა, სადაც მოკლეთ აღნიშნა გერმანიასთან დადებული ხელშეკრულება და სთქვა, რომ ამ ხელშეკრულობის ყოველი მუხლი უნდა იქნეს შესრულებული, გერმანიის მიერ და აგრეთვე უნდა შესრულდეს ყოველგვარი პირობა სხვა მოწინააღმდეგე სახელმწიფოებთან უკვე დადებული ან მომავალში დასადებიო.

ლონდონიდან იუწყებიან: დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ასოციაციის წევრთა ერთ-ერთ კრებაზე, ლონდონში, დე-ბრავერმა განაცხადა: ვაჭარ-მრეწველნი დასთანხმდენ 20 თვის განმავლობაში პარიზში აეშენონ 4 მილიონ გირვანქა სტერლინგათ ღირებული შენობა, რომელიც დანიშნული იქნება საქვეყნო ბაზრის ცენტრალურ შესავედრ ადგილათ, სადაც ყველა ხალხის მყიდველი და გამყიდველი ერთმანეთს შეხვდებაო. მუშაობას 4 თვის შემდეგ დაიწყებენ.

გაგრიდან იუწყებიან: „ჰეხელბრონის“ გარდა საფრანგეთს გადაეცა კიდევ ორი გემი, რომელიც წინეთ ეკუთვნოდა ჰამბურგში მყოფ გერმანულ-ამერიკულ ნავთ-მრეწველობის საზოგადოებას.

გარეშე საქმეთა კომისიამ გამოყო სამი შინა კომისია: პირველი—გერმანიასთან საზავო ხელშეკრულობის, მეორე-რუსეთის საქმეების და მესამე—აღმოსავლეთის საკითხებისა და ხელმოუწერელ ხელშეკრულებების. ამ უკანასკნელში შედიან: ბრიანი, კორნიუდე, ლენაილი, კაშენი და მორსელი.

ვაიდა-ვოევოდა ხელახლა ჩამოვიდა პარიზში

უნგრეთის დელეგაცია ორშაბათს პარიზში მიდის.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ალექსანდრე მილიერანმა, ოთხშაბათს გარეშე საქმეთა კომისიას თავისი საერთო ხასიათის განმარტებანი წარუდგინა საფრანგეთის გარეშე პოლიტიკის შესახებ, რუსეთის მიმართ და კერძოთ გერმანიის მიერ ვერსალის საზავო პირობათა აღსრულების შესახებ.

# ერობა.

**ტფილისის სამაზრო ერობაში.**

**შუამდგომლობა.**

ტფილისის სამაზრო ერობამ შუამდგომლობა აღძრა ერობათა კომიტეტის წინაშე, რათა მის განკარგულებაში დარჩეს მაზრაში „ღალის“ სახით შეკრებილი ხორბალი, რადგან ტფილისის მაზრა წელს მოუსავლიობით სიმშილის წინაშე სდგას. ერობათა კავშირის კომიტეტმა დაადგინა ეთხოვოს მიწათ მოქმედების მინისტრს ტფილისის მაზრაში შეგროვილი „ღალა“, რაიც სათესლეთ გამოდგება დატოვებულ იქნეს ტფილისის სამაზრო ერობის განკარგულებაში.

ერობათა კომიტეტი მიუთითებს სამიწადმოქმედო სამინისტროს ღალა ჩამოერთვას ისეთ ერობებს, რომელთაც ნაკლები ხორბლის საჭიროება აქვთ ადგილობრივ.

**სანატორიუმისათვის.**

ერობათა კავშირის კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა სამიწადმოქმედო სამინისტროს წინაშე, რათა მას გადაეცეს აბასთუმანის ერთ-ერთი შენობა ერობათა მოღვაწეებისათვის სანატორიუმის ასაგებათ.

**რვეულები.**

ერობათა კავშირის კომიტეტმა ქალაქთა კავშირს დაამზადებია სამაზრო ერობებისათვის რვეულები, რაიც ერობებმა უკვე წაიღეს, არ წაუღია ზოგიერთ ერობებს მხოლოდ, ამისათვის კომიტეტმა დაადგინა შეიყიდოს კავშირისაგან დარჩენილი რვეულები და გაუნაწილოს ისეთ ერობებს, რომელთაც არ წაუღიათ, ამ საქმის მოგვარება კომიტეტმა მიანდო მ. ცეკვაშვილს.

# მუშათა კავშირებში.

**აღმასრ. კომიტეტის სხდომა.**

განხილულ იქნა სეკრეტარიატის მიერ წარმოდგენილი საანკეტო ფურცლის ფორმა, რომელსაც აძლევს აღ. კომიტეტი, კავშირათა წევრების მდგომარეობის გამოსარკვევად. ყველა კითხვები, ანკეტის ფურცელში აღნიშნული დამტკიცებულ იქნა და გადაეცა პრეზიდიუმს უკანასკნელ რედაქციისათვის.

რადგან უკანასკნელ მომატების გამო ყველაფერი გაძვირდა დადგენილ იქნა ჟურნალი „მუშათა ცხოვრება“-ს ფასი გადიდებულ იქნას 6 მანეთამდე.

პროვინციალურ საბჭოების შეკითხვის გამო საბჭო განმარტავს, რომ ქალაქის ხმოსნებს უფლება აქვთ იყვნენ პროფესიონალური კავშირის წევრებათ.

აღმასრულებელმა კომიტეტმა გაგზავნა სადქსანკაში ილ. ბადრიძე, რომელმაც უნდა მოაწყოს კავშირი იქ არსებულ აგურის ქარხნის მუშებისა.

# ისტორიული წერილები.

**რუსეთის მონარქია როგორ ჰრყვნიდა ქართველებს და ასწავლიდა საქართველოს ღალატს და ჯაშუშობას**

**ლომ-კაც ლეჟავას ამბავი.**

I

1820 წ. რაკი რუსეთის მთავრობამ იმერეთის აჯანყება ჩააქრო და თავის ბოროტ საწადელს მიაღწია, მის შემდეგ მათ იწყეს იმერეთის აკლება და ამით შეშინება ისე, რომ იმერეთი სამუდამოდ მომკვდარიყო და მათ რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ ხმა აღარ ამოეღოთ.

ამის იმედი რუსის მთავრობას აუცილებლად ჰქონდა, ვინაიდან 1815 წ. სოლომონ მეფე ტრაპიზონში უკვე მიიცვალა და ამის გარდა ბაგრატიონების გვარის წევრთაგანიც იმერეთში აღარავინ ეგულებოდათ, რომ მისი შიში ჰქონოდათ მათ. მართალია, იმერეთში ამ დროს კიდევ იყო დარჩენილი ერთი პირი, სოლომონ მეფის ძმისწული დავითი, მაგრამ ეს მაინც რუსის მთავრობას არ ეწინააღმდეგებოდა და მათი მორჩილი იყო.

თუმცა ეს ასე იყო და დავითის მორჩილება რუსებმაც იცოდენ, მაგრამ მათ მაინც ეჭვი ჰქონდათ, ვაი თუ ოდესმე ამანაც წამოყოს თავი და სოლომონ ღ ალექსანდრესავით დავა დაგვიწყოსო, ამიტომ ეს იმერეთიდან უნდა მოვიცილოთო. მაგრამ ერთის მხრით ერიდებოდათ და როგორც მათ ერთგულს, რუსეთში გადასახლების სურვილს ვერ უცხადებდენ. ბევრი ფიქრის შემდეგ, რუსის მთავრობის მეთაურებმა მიაგნეს საწადელს.

უპირველეს ყოვლისა რუსის მთავრობის მეთაურებმა მოსძებნეს ერთი იმერელი და შეასყიდეს ფულით და ჩინებით, მერე ამ შესყიდულ იმერელის დახმარებით ბევრი რამ შეიტყვეს დავით ბატონიშვილის შესახებ, თუმცა რუსთა წინაშე არა სალალატო, მაგრამ მათ ნებართვა აიღეს დესპოტ და ტირან მთავარმართებელ ერმოლოვისაგან და ბოლოს აი რა ჰქნეს.

შესყიდული კაცის დახმარებით შეისყიდეს დავით ბატონიშვილის ერთი შინა მოსამსახურე ყმა ქოქიაშვილი, დავით ბატონიშვილთან თან ზრდილი და თან თანატოლი, დავითისაგან ბევრნაირათ დასაჩუქრებული და პატივცემული, ამის პურ-მარილით გაზრდილი და ერთ ღამეს, ამ ქოქიაშვილს მოაკვლევინეს თავის ერთგული ბატონიშვილი დავითი.

როცა რუსის მთავრობა თავის ერთგულ ქართველ ბატონიშვილებსაც კი ასე უმასპინძლდებოდა და ასე მოკვლით სჯიდა მათ, ვინაიდან ისინი იყვნენ ბაგრატიონების წევრნი ქართველნი და მასთანვე გარუსებულნი და ამათივე ერთგულნი, რასაც არც ფიცი უნდა და არც მტკიცება, რაც ჩვენც ეს კარგათ უნდა ვიცოდეთ, უნდა გვწამდეს იგი უეჭველათ.

აბა მაშ რუსის მთავრობა როგორ მოიწყალებდა ისეთ კაცებს, როგორიც იყვნენ სოლომონ მეფე, ალექსანდრე ბატონიშვილი, სოლომონ ლეონიძე, კათოლიკეთ მღვდელი პატრი ნიკოლა, მიტროპოლიტი ქუთათელიაშვილი—გენათელი წულუკიძე და სხვაც ასეთნი, გონიერნი მოწინააღმდეგენი ქართლ-კახეთ იმერეთის სამეფოს მოშლის და რუსის მთავრობის დაკავშირების საქართველოსთან. ასეთებს რაღას უზამდენ კარგს და ენით უთქმელ ბოროტებას მიაყენებდენ.

ეს რომ ასე არის და მართალი, ამას ასაბუთებს ის საქმეები და ბოროტებანი, რაც კი პავლე ციციშვილმა გარუსებულმა ქართველმა, საქართველოს პირველ მთავარ მართებელმა ქმნა და იმერეთიდან, ერთ ღამეს, თავის კაცებს პატრი ნიკოლა მოაპარვინა. ამ გარემოებას მკითხველს შემდეგ გავაცნობთ, რომ მით გაიცოდეთ ის ბოროტებანი, თუ რუსეთის მართველნი როგორ სჯიდნენ და ამათრახებდენ თავის არა მოსაწონ პირებს და რას უშვრებოდენ ასეთ ქართველებს.

მივყვეთ ისევ ლომ კაც ლეჟავაზედ.

ზ. ჭ.

# ფოსტა-ტელეგრაფში.

ტფილისის მთავარი ფოსტის უფროსი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მისამართი წერილებზე, ბანდეროლებზე, თუ სხვა გადასაგზავნებზედ იწერება შეკვეცით და დამახინჯებით, ამიტომ კორესპონდენცია დანიშნულებისამებრ ვერ ხარდება, რის გამოც ზედმეტ საჩივარ საყვედურებს უდანაშაულო ფოსტას უთვლიან. ვთხოვ ყველა კორესპონ-

1759
ეროვნული ბიბლიოთეკა

ნდენტს მისამართი სწერონ რაც შეიძლება სრული, მაგ. თუ ქალაქშია მიმართული: ქალაქის სახელწოდება, ქუჩის სახელი, ნომერი და ნომერი სახლისა და მიმღების სახელწოდება (სახელი მამისა, სახელი და გვარი) და თუ შეიძლება გამგზავნელის ვინაობაც აღინიშნოს. თუ პროვინციაში იგზავნება: სახელი დაბისა, სოფლისა ან ქალაქისა და რომელ მაზრაშია დაბა ან სოფელი და მიმღების სახელწოდება.

ამასთანავე უფროსი დასძენს, რომ კორესპონდენცია ისეთ დაბა სოფლებში არ გადაიგზავნება, სადაც ფოსტის დაწესებულება არაა თუ არ იქნება ნაჩვენები უახლოესი ფოსტის განყოფილება.

# გურიის ამბები.

## აკაკი ჩხენკელი გურიაში.

შაბათს, 31 იანვარს, გურიას ეწვია ჩვენი სახელოვანი მოღვაწე—დამფუძნებელი კრების წევრი ბ-ნი აკაკი ჩხენკელი. ქ. ოზურგეთში ამხ. აკაკი ელ. მგელაძის თანხლებით მობრძანდა შუადღის ორ საათზე სრულიად მოულოდნელათ, სამაზრო ერობამ წინასწარ მხოლოდ ერთი საათის წინ მიიღო სად. ნატანებიდან ცნობა, რომ ის ოზურგეთში მოდიოდა. მაშინვე გადაეცა ცნობა ქალაქისა და ახლომახლო თემების მცხოვრებთ; საღამოს დიდძალი ხალხი შეგროვდა თეატრის დარბაზში, რომელმაც ნახევარიც-კი ვერ დაიტია მოზღვავებული ხალხისა. 7-საათზე ერობის თავმჯდომარემ ბ-ნმა პანტურიშვილმა შეკრებულ ხალხს აუწყა, რომ გურიას ეწვია საქართველოს სახელოვანი წინამძღოლი აკაკი ჩხენკელი, რომელიც მოხსენებას გააკეთებს საქართველოს დღევანდელ მდგომარეობაზე. ამ დროს სცენაზე გამოჩნდა თვით ჩხენკელიც, ხალხში გაისმა ვაშა და ძლიერი დაუსრულებელი ტაში, რომელიც ოვაციათ გადაიქცა. მოხსენებამ გასტანა 3 ს. და 7 წ. მოხსენებელი დაწვრილებით შეეხო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მიზეზებს, მის ტრაგიკულ მდგომარეობას ამ ორი წლის წინათ, გააცნო ხალხს მისი და აგრეთვე საქართველოს დელეგაციის მუშაობა პარიზში ოფიციალურ მთავრობისა და ინტერნაციონალში და სოციალისტურ კონფერენციაზე, მოიყვანა ცნობები ევროპის დღევანდელი მდგომარეობისა და სხვა და სხვა სახელმწიფოს სოციალისტური პარტიების მუშაობა ტაქტიკის შესახებ, შეეხო რუსეთის ბოლშევიზმს, გამოსთქვა თავისი აზრი საქართველოს აწმყოსა და მომავალზე და დაათავა სამეზობლო საქართველოსა და აგრეთვე ლაზისტანის საკითხით, რომელთა შესახებ მტკიცე რწმენა გამოსთქვა, რომ ადრე საქართველოს შემოუერთდებიანო. ხალხი მთელი ამ ხნის განმავლობაში სულ განაბული უსმენდა მომხსენებელს, დრო გამოშვებით სიჩუმეს არღვევდა მხოლოდ მქუხარე ტაში, რომელსაც იწვევდა მოხსენების ზოგიერთი ადგილები. ღამის 11 საათზე ნასიამოვნები ხალხი ვაშას ძახილით დაიშალა.

მოხსენების შემდეგ ამხანაგებმა ჩხენკელი მხლებლებით მიიპატიჟეს ადგილობრივ საკრებულოში ბანკეტზე, რომელზედაც დაესწრნენ ამხანაგები ერობიდან, გვარდიის შტაბიდან, ქალაქის გამგეობიდან და აგრეთვე პარტიების წარმომადგენლებიც. წარმოითქვა სადღეგრძელოები—მთავრობის, დამფუძნებ. კრების, ჩვენი ხელმძღვანელ-ბელადების, ერობისა, მხედრობისა და სხვა.

მეორე დღეს ბ-ნი ჩხენკელი ერობის თავმჯდომარის თანხლებით ეწვია დ. ჩოხატაურს, სადაც მას მრავალ რიცხოვანი მიტინგი დახვდა. მისვლისას ჩხენკელს შეხვდა გვარდიის საპატიო ყარაული, რომელმაც იარაღით სალამი მისცა მას და ვაშას ძახილით მიაცილა მიტინგის ადგილამდე. აქაც ბ. ჩხენკელმა დიდხანს ილაპარაკა და დაწვრილებით გაურკვია ხალხს საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა და მომავალი.

უკან დაბრუნებისას ბ-ნ ჩხენკელს დ. ნაგომარში მრავალ რიცხოვანი მიტინგი დახვდა; ხალხს, რა გაიგო მისი ზევით გავლა, ახლო მახლო თემებიდან თავი მოეყარა, რომ უკან დაბრუნებისას მოესმინა მისი სიტყვა... აკაკიმ აქაც ილაპარაკა და საღამოს 7 საათზე დაბრუნდა ოზურგეთში, საიდანაც მაშინვე გაემგზავრა ტფილისში.

ხალხი მეტად კმაყოფილი დარჩა ჩხენკელის ჩამოსვლით; ხალხს ის უყვარს, თავის ბელადათ სთვლის, სიამოვნებით ისმენს მის იმედიან სიტყვებს, მაგრამ ერთი ჩამოსვლა და ისიც სრულიად მოულოდნელად მხოლოდ ოზურგეთისა და ჩოხატაურში მას ვერ აკმაყოფილებს... კარგი იქნება, რომ შემდეგშიაც მოიცლიდეს როგორც ბ-ნი აკ. ჩხენკელი ისე სხვა ხელმძღვანელები და ხალხის საყვარელი შვილები და დრო გამოშვებით უფრო დიდხანით ესტუმრებოდეს გურიას.

— 27 იანვარს ს. ლიხაურში დაკრძალეს დამფუძნებელი კრების წევრი, ძველი პარტიული მუშაკი სიმონ სურგულაძე; მასთან ერთად დაასაფლავეს მისივე ცოლი, რომელიც ქმრის სიკვდილის მეორე დღესვე გარდაიცვალა. დასაფლავებას, მიუხედავათ იმისა, რომ საშინელი ამინდი იყო, სამაზრო ერობის, გვარდიის შტაბის, გურიის სოც. დემ. კომიტ. პრეზიდიუმისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად მრავალი ხალხი დაესწრო. დაესწრო აგრეთვე დამფუძნ. კრების სოც. დემ. ფრაქციის წარმომადგენელი ამხ. ბერიშვილი, რომელმაც სიტყვა წარმოსთქვა დამფუძ. კრების პრეზიდიუმის, სოც. დემ. ფრაქციისა და საქ. ს. დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის სახელით. წარმოითქვა აგრეთვე სიტყვები გურიის ს. დ. კომიტეტის, გვარდიის გურიის საოლქო შტაბის, ლიხაურის ორგანიზაციისა და სხვა მრავალ დაწესებულებათა სახელით. ზოგიერთ ორგანიზაციებმა გვირგვინის ნაცვლად გადასდეს ფული ობლების სასარგებლოთ. განსვენებულთ დარჩათ ოთხი მცირე წლოვანი ბავშვი, რომელთაგან უნცროსი წლისა და ნახევრის არის, მათ დღეს არ გააჩნიათ მომვლელ პატრონი. უვლის ადგილობრივი თემი; საჭიროა საჩქარო დახმარება.

— ოზურგეთის ქალთა გიმნაზიაში აგერ ერთი თვე გადის სწავლა შეწყვეტილია და მისი ავეჯეულობა ქუჩაში ყრია. ამის მიზეზია შემდეგი: ქალაქის გამგეობამ მთავრობის დახმარებით დ. ერისთავიდან შეიძინა სახლი, რომელშიაც მოთავსებულია ოზურგეთის უბნის სასამართლო; ამ სახლში ქალაქს გადაწყვეტილი ქონდა მოეთავსებინა ქალთა გიმნაზია, რომელიც თავის ძველ შენობაში ვერ ეტეოდა. ამ მიზნით გამგეობამ გამართა მოლაპარაკება მომრიგებელ მოსამართლესთან, რომ ის გადასულიყო მისთვის დამზადებულ შენობაში, რაზედაც პირველად დაეთანხმა ბ-ნი მოსამართლე, რის იმედითაც გიმნაზიის ავეჯეულობა გადმოტანილი იქნა სასამართლოს ეზოში, მაგრამ შემდეგ ბ-ნმა მოსამართლემ მოულოდნელათ უარი განაცხადა შენობიდან გასვლაზე. ბევრი მიწერ მოწერა და მოციქულობა ხვეწნა-მუდარის შემდეგ როგორც გიმნაზიის მშობელთა წრის და პედაგოგიური საბჭოს, ისე ქალაქის გამგეობის და შემდეგ საბჭოს-ხნით,-საქმე გადავიდა გურიის ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობაში, რომელმაც ერთხმად დაადგინა, რომ ქალაქის მიერ მიჩნეულ შენობაში მოთავსდეს როგორც ოზურგეთის უბნის სამომრიგებლო სასამართლო, ისე ყრილობა. მაგრამ არც ამ დადგენილებას გაუწია მოსამართლე ბ. კვირკველიამ ანგარიში და შენობა არ დასცალა. ქალაქის გამგეობამ უკანასკნელათ მიმართა ბ ნ მოსამართლეს თხოვნით, რომ გადასულიყო ახალ შენობაში, მაგრამ ბ. კვირკველიამ უარით უპასუხა, რის შემდეგ საქმე სამინისტროს გადაეცა. გიმნაზია კი კვლავ ქუჩაში არის და არავინ იცის, როდის ეღირსება ბოლო ასეთ მდგომარეობას. სასამართლოსათვის გამზადებული შენობა იმდენათ შესაფერია, რომ საოლქო ყრილობამ შესაძლებლათ დაინახა შიგ არა თუ უბნის სასამართლოს, არამედ მასთან ერთად ყრილობის მოთავსებაც.—

ხუხეინ.

# სხვა და სხვა

✦ ზუგდიდან სამაზრო ერობის თავმჯდომარე ლ. შენგელაია შემდეგს გვატყობინებს: სამაზრო ერობის არჩევნები დასრულდა 25 იანვარს. მიუხედავად ცუდი ამინდისა არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 20782 მოქალაქემ. არჩევნებში გამოდიოდენ № 1 სოც.-დემოკრატები, მიიღეს 10436 ხმა. № 2 ერ. დემოკრატები-მიიღეს 2890. № 5 ესფერები-მიიღეს 1593. ხმოსნები გაიყვანეს—პირველმა თექვსმეტი, მეორემ სამი, მესამემ ცხრა, მეხუთემ ორი.

✦ რესპუბლიკის საპყრობილეთა ინსპექტორმა იაშვილმა განიზრახა მოაწყოს ტუსაღთა შრომით სამუშევრები; ამ მიზნით იაშვილმა მიმართა ყველა რესპუბლიკის სამაზრო ერობების თავმჯდომარეთ, რათა მიაწოდონ მას ცნობები, თუ რა სამუშევრები შეიძლება მოეწყოს ადგილობრივ, მაგალითად, ველის, ტყის თუ სხვა.

✦ ბათუმიდან სამხედრო სამინისტროს დეპეშით აუწყებენ: „3 თებერვალს ბათუმში მარსელიდან მოდიან 117 ყოფილ სამხედრო ტყვე ქართველს, რომელთაც ფრანგი ოფიცრები მოჰყვებიან თან". სამხედრო მინისტრის განკარგულებით ბათუმში გაიგზავნა შტაბ-ოფიცერი სამხედრო ტყვეების მისაღებად და მათ დასაგზავნათ თავის მაზრებში.

## განცხადებანი

შაბათს, 7 თებერვალს, შუადღის 12 საათზე დანიშნულია გამგეობის დარბაზში საჯარო ვაჭრობა ბუდკების იჯარით გასაცემად, რომელებიც მდებარეობენ: 1) კუთხე ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდრეს ბაღის, 2) კუთხე ვლადიმერის და ანენის ქუჩა, (ნაძალადევი), 3) მატინოვის ქუჩა 1 კომისარ. 4) მამადავითის მოედანზედ და 5) ანტანოვის ქუჩა მე 9 კომისარ. ყველანაირი ცნობები შეიძლება გაიგონ ქ. თვითმართველობის საიჯარო და საადგილ მამულო განყოფილებაში დილის 11—12 საათამდე. 164 1—1

ოლღა იასონის ასული წერეთლისა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ყვირილის ხაზინიდან ცხენის ფულის მისაღები ორი ტალონი № 311 და 312. ტალონები გაუქმებულათ ჩაითვალოს. 217 3—1

ქ. ტფილისის მე 18 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ გრიგოლ მიხეილის ძე კარელიშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება კარელიშვილის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე-1241 მუხლში აღნიშნულ ვადაში. 83 1—1

ალექსანდრა მოსეს ასული ისაევა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, აღებული სპარსეთის საკონსულოდან და მეტრიკული მოწმობა. პასპორტი და მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 186 3—3

პავლე მაქსიმეს ძე ცოტაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა იარაღის ტარების ნებართვა, აღებული მეორე უბნის გვარდიის შტაბში 1920 წ. იანვრის 1-ს. ტანისამოსის ორდერი და ნებართვა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 181 3—1

სპარსეთის ქვეშევრდომი გუსეინ აბდულ ოღლი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა წიგნაკი, რომელშიაც იყო ფულათ 260 მანეთი, 250 მ.ნ. ბონი და 10 მან. რუსეთის საკრედიტო ბილეთი, პასპორტი, აღებული სპარსეთის საკონსულოდან და ქალაქის გამგეობიდან აღებული ვაჭრობის ნებართვა. პასპორტი და ნებართვა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 182 3—3

ალექსანდრა დავითის ასული კერესელიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სალექციო წიგნაკი, აღებული ტფილ. სახელ. უნივერ. კანცელარიიდან № 1194. მპოვნელს სთხოვენ დაუბრუნოს პატრონს შემდეგი მისამართით: ალექსანდრეს ქ. № 54. წინააღმდეგ შემთხვევაში წიგნაკი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 200 2—2

დაკარგულია ტფილისის პირველი კერძო ლომბარდის კვიტანცია № 84932—1 500 მან. კვიტანცია გაუქმებულათ ჩაითვალოს. 199 3—3

აზოვ დონის კომერციულ ბანკის ტფილისის განყოფილება ამით აცხადებს, რომ მის მიერ ბარბარე სოკრატის ასულ გიზიზე 1916 წ. დეკემბრის 13-ს მიცემული კვიტანცია № 7266/1143, რომლითაც მიბარებული ჰქონდა შესანახათ 51/2°/₀ ობლიგ. 1915 წ. II შინ. სახელმწ. სესხის 20,000 მან., დაკარგულია და გაუქმებულათ ითვლება. 144 3—3

აზოვ-დონის კომერციულ ბანკის ტფილისის განყოფილება ამით აცხადებს, რომ მის მიერ ანგელ სოკრატის ძე გიზიზე 1916 წ. დეკემბრის 13-ს მიცემული კვიტანცია № 7265/1142, რომლითაც მიბარებული ჰქონდა შესანახათ 51/2°/₀ ობლიგ. 1915 წ. II მინ. სახელმწ. სესხის 60,000 მ., დაკარგულია და გაუქმებულათ ითვლება. 145 3—3

დაკარგულია ტფილისის პირველი კერძო ლომბარდის კვიტანცია № 86471—100 მანეთის. კვიტანცია გაუქმებულათ ჩაითვალოს. 180 3—3

ვასილ გრიგოლის ძე გონტ-მახერი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 12430, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 197 3—1

იბრაგიმ ზეინალოვი აცხადებს, რომ მან ამა წლის 1 თებერვალს სალდათების ბაზარზე დაჰკარგა 1865 წელს. სიონის მონასტრის თავისუფალ ადგილის, პავლე ნიკოლოვის მიერ იჯარით აღების პირობის პირი. პირობა დაბეჭდილია ბერძნულ ენაზე. მპოვნელს სთხოვენ დაუბრუნოს 5 კომ. სურფსარქისის ქუჩა № 24 ზეინალოვს. 178 3—3

ოზურგეთის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს მემკვიდრეებს უძეოდ გარდაცვალებული მცხოვრების ქალ. ოზურგეთში ალექსანდრე ჯაფარიძე გვარამიასი, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება გვარამიას ქონებაზედ სამ. კან. წეს-დ. მე-1241 მუხლში აღნიშნულ ვადაში. 049 1—1

ოზურგეთის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს მემკვიდრეებს უძეოთ გარდაცვალებული მცხოვრების დვაბზუის თემისა თეოფილე ანდრიას ძე გიორგაძის, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება გიორგაძის ქონებაზე სამ. კან. წეს-დ. მე 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 048 1—1

ქ. ტფილისის მე-18 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ნინო ანდრიას ასული ლონტის მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება ლონტის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 156 1—1

სისხლ. სამ. წარმ. წეს. მე—846, 847, 848 და 851 მუხ. ძალით ტფილისის ოლქის სასამ. დადგენილებით, ეძებენ გაბო შაქროს ძე ნაცვლიშვილს მცხოვრებს სოფ. მეტეხში, გორის მაზრ. დანაშ. 13,1629 შ. ს. დ. დაკარგულის ნიშნებია: დაბალი ტანის, რგვალი პირისახის, თმა წაბლის ფერის, ულვაშები მოკლე ხშირი და ბაცი ფერის, თვალები ცხვრის ფერი, ცხვირი ჩვეულებრივი, მუცელზე ტყვიით დაჭრილის ნიშანი, 27 წლისა. ყველა, ვინც იცის გაბო ნაცვლიშვილის ბინადრობა,ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. ყველა ის დაწესებულებანი, რომელთა უფლებაში აღმოჩნდება დაკარგულის ქონება, ვალდებულია დაუყონებლივ გადასცეს იგი საამეურნო გამგეობას. 2130 1—1

სისხლ. სამ. წარმ. წეს. მე—846, 847, 848 და 851 მუხ. ძალით ტფილისის ოლქის სასამ. დადგენილებით, ეძებენ საქოს იგივე სარქის სოლოღაშვილს მცხოვრებს სოფ. ძეგვში, გორის მაზრ. დამნაშ. 13, 1629 მ. ს. დ. დაკარგულის ნიშნებია: მაღალი ტანის, შავგრემანი, ნაყვავილარი, თმა შავი, თვალებიც შავი, წვერს იპარსავს, კარგათ მოზრდილი ცხვირი, წინა კბილები ამომტვრეული და ნამტრევები კბილები უჩანს ყველა, ვინც იცის სარქის სოლოღაშვილის ბინადრობა, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. ყველა ის დაწესებულებანი, რომელთა უფლებაში აღმოჩნდება დაკარგულის ქონება, ვალდებულია დაუყონებლივ გადასცეს იგი საამეურნო გამგეობას. 2130 1—1

ქ. ტფილისის მე 9 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ მცხოვრებ ქ. ტფილისის ივანე გრიგოლის ძის ელისეევის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება ელისეევის ქონებაზე 1241 მუხ. სამოქ. კან. ტ. X ნაწ. აღნიშნულ ვადაში. 198 1—1

ივანე ვასილის ძე გრეტკო აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა მიღებული ტფ. პოლიტეხნიკური სასწავლებლიდან. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 8—1

ტფილისის გუბერნიის პირველი რაიონის ტყის რევიზია ამით აცხადებს, რომ 3 მარტს ამა 1920 წელს, შუადღის 12 საათზე ს. გომბორში სასოფლო კანცელარიის ბინაზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა. გაიყიდება თიანეთის სატყეო გამგეობის მეორე იორის აგარაკში გაზომილი ოცი დესეტინა ტყე, შეფასებული 319680 მანეთად. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ქ. თელავში ტყის რევიზორის სამმართველოში. 139 1—1

დავით მიხეილის ძე აბრამაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, აღებული კულაშის ერობის სამმართველოდან 1919 წ. ოქტომბრის 29-ს, № 617 და სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა. საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს. 185 2—1

სტამბა „საქართველოს რესპუბლიკა" ... 
რედაქტორის მოვალ. ამხ. გრიგოლ მაჭავარიანი